ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 1

ქ. ონი 25 იანვარი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 11 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამაზ მეტრეველი.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების გაცნობის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის გაცნობის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

4.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების გაცნობის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის გაცნობის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი გეგმა.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, და განმარტა, რომ რადგან ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტი ტურიზმია, გამართლებული იქნება მერიის ეკონომიკის სამსახურის პოზიციას - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინვესტიციო პროექტებისა და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში-სახელწოდებაში დაემატოს სიტყვა-ტურიზმი, შესაბამისი ფუნქციებით.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. მეტრეველმა მიმართა მაჟორიტარ დეპუტატებს, მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთონ თავიანთი სოფლების ტერიტორიაზე განხორციელებულ პროექტებში დადებითი შედეგის მისაღებად. ასევე, საჭიროა ერთიან სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს შიდა სამგზავრო გადაზიდვების საკითხი. ისაუბრა მურმან ლებანიძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი მზარდი ბიუჯეტი არასდროს ჰქონია მუნიციპალიტეტს, წარმოდგენილ პროექტში ასახულია საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნები და ის საკითხები, რაც ამ ეტაპზე პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. ასევე, აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ვახტანგ მეექვსის ქუჩაზე სკვერის მშენებლობა.

კომისიის წევრებმა გასცეს დადებითი დასკვნა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები აუნაზღაურდება თვეში არაუმეტეს 600 ლარისა საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობისა და ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე